*დანართი №2*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**შპს - მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში განხორციელებული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის

დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ნინო ფეტვიაშვილი

**წევრები:**

ეკა ლუაშვილი

ავთანდილ გეგენავა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*{თბილისი, 2019 წ}*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: შპს - მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 248417896

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ **<u>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება</u>**

☐ პროფესიული კოლეჯი

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს-მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში 2019 წლის 18-19 აპრილს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის განხორციელების საფუძველია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის ბრძანება N252, რომლის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“, „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაურისა“ და „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტი წარიმართა **დღის წესრიგის შესაბამისად** (იხ. დანართი N1). **ვიზიტის პირველ დღეს** შემოწმდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, დოკუმენტებისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. ჩატარდა გასაუბრება ახალი პროგრამების ხელმძღვანელებთან, გადამოწმდა დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შეფასების სისტემის ქმედითუნარიანობა.
**ვიზიტის მეორე დღეს** გადამოწმდა ადამიანური და მატერიალური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დოკუმენტაცია, მოხდა ფართების დათვალიერება, განხორციელდა ვიზიტები პრაქტიკის ობიექტებზე, გასაუბრება დამსაქმებლებთან და პრაქტიკის მოდულების განმახორციელებელ პირებთან, მოხდა ბიბლიოთეკის დათვალიერება, პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა რეესტრის შემოწმება, დაწესებულების წინაშე ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების გაცნობა.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა აქტიურად ითანამშრომლეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან, წარმოადგინეს საჭირო დოკუმენტაცია და ორგანიზება გაუწიეს პროფესიულ მასწავლებლებთან, პრაქტიკის განმახორციელებლებთან, დამსაქმებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

**II. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“, „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაურისა“ და „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რელევანტურია.**

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*{თბილისი, 2019 წ}*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | □ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | □ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | □ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | □ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | □ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | □ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფი საუკეთესო გამოცდილებად მიიჩნევს შემდეგს:

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი პარალელურად ახორციელებს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურზე სწავლებას, ასევე ამავე სტუდენტებს შეუძლიათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა, რაც ლიცეუმის სტუდენტებისთვის ერთდროულად სკოლისა და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების კარგი საშუალებაა.

ლიცეუმი ფლობს ISO სერტიფიკატს (ISO 9001-2015) ხარისხის მენეჯმენტის სისტემაში, რაც არა მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობის, არამედ დაწესებულების ყველა პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის კარგ მექანიზმად შეიძლება იყოს გამოყენებული;

ვიზიტის პროცესში, როგორც ლიცეუმის ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტებზე გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ლიცეუმი წარმოადგენს პარტნიორს დამსაქმებლებისთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადების კუთხით თავისი მიმართულებით.

## V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*ექსპერტების რეკომენდაციები:*

**საგანმანათლებლო პროგრამები:**

**1.2.**

- *სასურველია, კატალოგში დაზუსტდეს, რომ ინფორმაცია ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ჯერ მხოლოდ ანონსია და პროგრამებზე მიღება მოხდება მხოლოდ პროგრამების დამატების შემდეგ.*

***1.4.***

- *მიზანშეწონილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*{თბილისი, 2019 წ}*

- *მიზნაშეწონილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები ითვალისწინებდეს ინფორმაციის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ასახვის პროცედურებსა და ვადებს.*

**ადამიანური რესურსი:**

***3.3.***

- *მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში დაზუსტდეს დასაქმებულისათვის შვებულების მიცემის პროცედურები;*
- *მიზანშწონილია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დადებულ შრომითი ხელშეკრულების ამოქმედება დაკავშირებული იყოს პროგრამის/მოდულის განხორცილების დაწყებასთან.*

## VII. დაწესებულების მისია

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მისია გამოხატავს დამფუძნებლების, მოსწავლეების, პროფე-სიული სტუდენტებისა და პერსონალის ძირითადი მიზნებისა და პრიორიტეტების ხედვას და განსაზღვრავს პასუხს კითხვებზე „ვინ ვართ? რას ვაკეთებთ? ვისთვის ვაკეთებთ?". მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი წარმოადგენს ღია სოციალურ და საგანმანათლებლო სისტემას, რომელიც თავისუფლების პრინციპებზე დაყრდნობით მიმართულია უზრუნველყოს:

- აღზარდოს თავისუფლად მოაზროვნე, სამართლიანი და ჯანსაღი თაობა, ხელი შეუწყოს მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. შესძინოს თვითრეალიზაციისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, ჩამოუყალიბოს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება, დამოუკიდებელი, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარი, განუვითაროს კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, შთაუნერგოს ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და კანონის მიმართ პატივისცემის ვალდებულება.
- დისკრიმინაციისაგან თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალური სამართლიანობის გარემოში განათლების მიღება და მისი თანასწორი ხელმისაწვდომობა და ღია ხასიათი, პიროვნების ინტერესებისა და პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა.
- ლიცეუმის თანასაზოგადოების თითოეულ წევრზე ორიენტირებული უსაფრთხო და კეთილმოწყობილი ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური გარემოს შექმნა;
- სწავლის სუბიექტთა მხარდაჭრის პოლიტიკის გატარება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საქართველოს და საერთაშორისო განათლებისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი თანამედროვე ცოდნისა და აქტუალური პრაქტიკული უნარჩვევების მქონე პროფესიონალების მომზადება, პროფესიონალური ვალდებულებების შესრულების, პერსონალური და პროფესიონალური განვითარების მოტივაციის ჩამოყალიბება;

## სტანდარტების შეფასება

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი წარმოადგენს ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს სასწავლო პროცესს საშუალო საფეხურზე (10-12 კლასებში) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ინტეგრირებულად. კერძოდ, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები გადანაწილებულია სამ სასწავლო წელზე და მოიცავს დღის პირველ და მეორე ნახევარს (18.00 საათამდე). სასწავლო გეგმაში და საგაკვეთილო ცხრილში დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს საშუალო საფეხურის სავალდებულო მოთხოვნები- საათობრივი ბადე, არჩევითი საგნები და, ამავე დროს, პროფესიული პროგრამების სპეციფიკა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლიცეუმს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს **2016 წლის 27 აპრილის №12** გადაწყვეტილებით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება და განესაზღვრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 370-ით, აქედან, იმავდროულად პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 320-ით.

სასწავლო პროცესს შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი ახორციელებს ქ. ბათუმში, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს სწავლება პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ 3 პროგრამაზე, რომლებიც ამ ეტაპზე უკვე მილევად რეჟიმშია. შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმს სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის", „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაურისა" და „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს მიერ (2019.15.02 ოქმი N4) დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამებს თან ერთვის სასწავლო გეგმები, მოდულების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, მოდულის სახელწოდება, კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება). სასწავლო გეგმებში გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები, სტუდენტთა კვირეული დატვირთვა ზოგადი და სავალდებულო მოდულებისა და სასკოლო საგნების გათვალისწინებით, რაც 36-40 საათს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტებმა შეისწავლეს არა მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის", „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაურისა" და „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და შესაბამისი მოდულები, არამედ სასკოლო სასწავლო გეგმა და მისი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაც დაადგინეს. უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო მოთხოვნები, საათობრივი ბადე და არჩევითი საგნების ჩამონათვალი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადის მოთხოვნებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობა ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეებს/სტუდენტებს არ შეექმნათ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების დაძლევის პრობლემა და, ამავე დროს, სრულყოფილად ჩაერთონ პროფესიულ მოდულებში და დაადასტურონ შედეგები მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 91 კრედიტი, „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაურის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 87 კრედიტი, რომელთა ხანგრძლივობაა 3 წელი და 6 თვე, ხოლო „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობის" მოცულობაა 52 კრედიტი, ხოლო ხანგრძლივობა - 3 წელი.

შესაბამისად, მე-12 კლასის ბოლოს კურსდამთავრებული იღებს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატს, ასევე პროფესიულ სერტიფიკატს.

დაწესებულებამ არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სავალდებულო საგნების სავალდებულო ბადის ინტეგრირებისა და ყველა მოთხოვნის შესრულების თვალნათლივ დასასაბუთებლად წარმოადგინა გაკვეთილების ცხრილი (2018-2019). ამას გარდა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგაკვეთილო ცხრილის სამუშაო ვერსია (პროექტი), რომელსაც გამოიყენებს 2019-2020 სასწავლო წლიდან პროგრამების დამატების წარმატებულად გავლის შემთხვევაში. ცხრილებში თვალნათლივ ჩანს, რომ დაწესებულებას გააზრებული და გათვალისწინებული აქვს როგორც საშუალო საფეხურის (10-12 კლასების) სასწავლო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, ასევე სამივე მოდულური პროგრამის სპეციფიკა და აუცილებელი მოთხოვნები (იხ.დანართი N2).

სასწავლო კურსებთან პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესის, მუხლი $4^1$-ის მიხედვით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი პროფესიული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში".

1. ***ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური".***

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური" შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება".*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კურსდამთვრებულს ენიჭება საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში.*

მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში მოიცავს 7 პროფესიულ მოდულს ჯამური 71 კრედიტის მოცულობით. გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 87 კრედიტი.

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - **16** კრედიტის მოცულობით;
- პროფესიულ/დარგობრივი მოდულები - **71** კრედიტის მოცულობით.

2. ***ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური“.***

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება“.*

*კურსდამთვრებულს ენიჭება საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში -*

მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია *საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში* მოიცავს 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 75 კრედიტის მოცულობით. *საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში* საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 91 კრედიტი.

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - **16** კრედიტის მოცულობით;
- პროფესიულ/დარგობრივი მოდულები - **75** კრედიტის მოცულობით.

3. ***ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობა“.***

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „ელექტროობა“.

კურსდამთვრებულს ენიჭება საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში -

მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია ელექტროობაში მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით. 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 28 კრედიტის ოდენობით. ელექტროობაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 52 კრედიტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- საერთო პროფესიული და ზოგადი მოდულები - **24** კრედიტის მოცულობით;
- პროფესიულ/დარგობრივი მოდულები - **28** კრედიტის მოცულობით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის რეალიზებისათვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები სხვადასხვა დაწესებულებასთან. კერძოდ, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია „მეთევზეთა კავშირთან“ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით, რისთვისაც, მემორანდუმის თანახმად, პრაქტიკა განხორციელდება საწვრთნელ გემებზე თ/მ „ელიტა“, შპს „ელდორადო“, თ/მ „ილორი“, თ/მ „1151“, თ/მ„არგო“, თ/მ „სამეგრელო“,თ/მ „საბა“, თ/მ„ლანჩხუთი“, შპს „პალიასტომი“,თ/მ „რიწა“,თ/მ „პიცუნდა“, თ/მ „კოლხი“,თ/მ „მალთაყვა“, თ/მ „რიცა“, თ/მ „განთიადი“, თ/მ „ფოთი“, თ/მ „ვიქტორია“, თ/მ „მალთაყვა“, თ/მ „ედუარდი“, შპს „მეთევზეთა კავშირი 2015“ და სხვ. მემორანდუმში დაზუსტებულია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები და სტუდენტთა გამტარიანობა, გათვალისწინებულია პრაქტიკის წარმართვის წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულებებში დაზუსტებულია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები, სტუდენტთა რაოდენობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები და სხვა პირობები. მემორანდუმები და ხელშეკრულებები დადებულია 2029 წლამდე.

*ვიზიტის მეორე სამუშაო დღეს* ექსპერტების მიერ შერჩევით მოხდა პრაქტიკის ობიექტების კერძოდ, შპს „საზღვაო ტექსერვისის“, შპს „ელდორადოსა“ და გემი „ელიტის“ ადგილზე დათვალიერება, სადაც შესაძლებელი გახდა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებმა დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობა და ისაუბრეს საწარმოო პრაქტიკის განხორციელების გზებზე. ექსპერტებმა დაათვალიერეს გემები და შეისწავლეს პრაქტიკისთვის საჭირო პირობების არსებობა. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებლებთან სწავლების პროცესსა და პრაქტიკის განხორციელების თაობაზე, რამაც აჩვენა, რომ კოლეჯი წარმოადგენს მნიშვნელოვან პარტნიორს დამსაქმებლებისთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადების კუთხით.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):
*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით-*
*„გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“;*
*„საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური“;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*„საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა“.*

*პედაგოგიური საბჭოს ოქმით N4 2019 წლის 15 თებერვალი;*
*პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებითა და ხელშეკრულებებით;*
*დაწესებულებებში და პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული ინტერვიუებით დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პრაქტიკის განმახორციელებლებთან;*
*დანართი N1 - დღის წესრიგით ( 4 ფურცლად);*
*დანართით N2 - ცხრილებით (13 ფურცლად)*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე http://www.liceum-bntu.ge/liceum/?action=katalogi. კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაციას, დაწესებულების მისიას, პროფესიული პროგრამების მიზნებს, საფეხურებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლების ენას, დაშვების წინაპირობას, სწავლის შედეგებს, დასაქმების სფეროებსა და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასებას.
*ექსპერტთა რეკომენდაცია:*
*სასურველია, კატალოგში დაზუსტდეს, რომ ინფორმაცია ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ჯერ მხოლოდ ანონსია და პროგრამებზე მიღება მოხდება მხოლოდ პროგრამების დამატების შემდეგ.*

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ვებგვერდზე განთავსებული კატალოგით;*
*ვებ-გვერდით* http://www.liceum-bntu.ge/liceum/?action=katalogi

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
„გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ (შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება“);
„საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური“ (შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება“)
„საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობა“ (შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „ელექტროობა“) - სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები)
*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით*
*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით-*
*„გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“;*
*„საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური“;*
*„საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობა“.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები განსაზღვრული აქვს ორი შიდა სამართლებირვი აქტით: 1. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულება", და 2. „შინაგანაწესი".
ზემოთ დასახელბული სამართლებირივი აქტებით მოწესრიგებული პროფესიულ სტუდეტის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებაში ვიზიტისას შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა დაწესებულების მიერ სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (პროფეისული სტუდენტების პირადი საქმეები, დაწებულების მიერ გამოცემული ბრძანებები და ა.შ). გადაამოწმებამ ცხადყო, რომ დაწესებულება თანიმიდევრულად იყენებს საკუთარ რეგულაციებს, ამასთანავე ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სასწავლო პროცესის მართვის მოქნილობისა და პროფესიული სტუდენტის ინფორმიმრებულობის ზრდისათვის მიზნაშეწონილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი. ასევე ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების განმსაზღვრელი აქტები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში კანონმდებლობით განსზღვრულ ვადებში ასახვის შესახებ. მიუხედვად იმისა, რომ ლიცეუმი

საგანმანათლბელო დაწესებულებათა რეესტრში ინფორმაციის ასახვას უზრუნველყოფს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს აღნიშნული პროცედურა აისახოს პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების განმსაზღვრელ სამართლებრივ აქტში.

*რეკომენდაციები:*

*1. მიზნაშეწონილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი;*

*2. მიზნაშეწონილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები ითვალისწინებდეს ინფორმაციის საგანმანათლებლო დაწებულებების რეესტრში ასახვის პროცედურებსა და ვადებს.*

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*შინაგანაწესით;*

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულებით;*

*პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით.*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრული აქვს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულება“ -ში, კერძოდ :

*„ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ლიცეუმი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას. ლიცეუმის მიერ მოქმედი პროგრამის არსებითი შეცვლის (მოდიფიცირების) ან გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში:*

*• მოხდება ამ პროგრამის პროფესიული სტუდენტების წინასწარი ინფორმირება და მათ მიეცემათ მოქმედი (მოდიფიცირებამდე/გაუქმებამდე არსებული) პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;*

*•პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება შეთავაზებული მოდიფიცირებული პროგრამით სწავლის გაგრძელება;*

*•პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება შეთავაზებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ან შიდა მობილობით, უკვე მიღებული კრედიტების მაქსიმალური აღიარების შესაძლებლობით, ლიცეუმში იმავე/მომიჯნავე სფეროს პროგრამით (არსებობის შემთხვევაში) სწავლის გაგრძელება (პროგრამაზე მიღების წინაპირობების გათვალისწინებით). მითითებულ შემთხვევებში პროფესიულ სტუდენტს შეუნარჩუნდება განათლების მომსახურების ხელშეკრულებაში დადგენილი სწავლის საფასური პროგრამის შეცვლით გამოწვეული დამატებითი გადასახადების გარეშე.*

*•პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გარე მობილობის საფუძველზე სწავლა გააგრძელოს ანალოგიური პროგრამის განმახორციელებელ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც ლიცეუმს გაფორმებული აქვს მემორანდუმუმი/ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.*

*•ანალოგიური პროგრამის ან/და მობილობის შესახებ ხელშეკრულების/მემორანდუმის არარსებობის შემთხვევაში, ლიცეუმი იღებს ვალდებულებას შიდა რესურსების გამოყენებით, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე დაასრულებინოს პროფესიულ სტუდენტს სწავლა.“*

ზემოთ განხილული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები შეესაბამება კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, ამსთანავე დაწესებულებას გაფორმებული აქვს მსგავსი პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებთან, პროფესული სტუდენტის განათლებით უზრუნველყოფის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულებით;*

*მემორანდუმებით პროფესიულ კოლეჯებთან.*

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მიერ 2019 წლის 11 იანვარს პედაგოგიური საბჭოს მიერ ( N3 ოქმი) დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულება“, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემა.

*„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შემუშავების მიზნით ლიცეუმის დირექტორის გადაწყვეტილებით იქმნება მუშა ჯგუფი"... მუშა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირები, ხარისხის უწრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი/ები, ასევე შეიძლება შედიოდნენ პოტენციური დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტის წარმოადგენლები, მოწვეული ექსპერტი/ები, სხვა დაინტერესებული პირები"...*
*პროგრამის დაგეგმვის პირველ ეტაპზე, მუშა ჯგუფი განიხილავს დაწესებულებაში კონკრეტული პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას, აანალიზებს დაწესებულების შესაძლებლობას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ინფრასტრუქტურის მზაობას, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხს, მსგავსი მიმართულების პროგრამების განხორციელების გამოცდილებას და სხვა.*
*„ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესახებ სამუშაო ჯგუფის ანალიზი განიხილება პროფესიული საგნების კათედრის საბჭოზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საბჭო წარუდგენს ლიცეუმის პედაგოგიურ საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად."*
დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამები ზემოთ გახნილული პროცედურებისა და დინამიკის დაცვით აქვს შემუშავებული. ამავე დოკუმენტის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა ,,დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“ ციკლის შესაბამისად მიმდინარეობს. ხარისხის სამსახური წარმომადგენლის განმარტებით ხარისხის უზრუნ-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ველყოფის სამსახური გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, განსაზღვრავს მისი შესრულების მექანიზმებს და ადგენს შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის შეფასების ადეკვატურ კრიტერიუმებს და ფორმებს; საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით შეიმუშავებს პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ანონიმური გამოკითხვის და სხვ. ანკეტებს/კითხვარებს; საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის ადმინისტრირების მიზნით ატარებს ანონიმურ გამოკითხვებს, სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელ მატერიალური და ადამიანური რესურსების მონიტორინგს; ჩატარებული მონიტორინგისა და გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს და პედაგოგიურ საბჭოს წარუდგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს, რაც გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფისთვის და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ლიცეუმს ამ მექანიზმების გამოყენების გამოცდილება აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ამ დოკუმენტების ანალიზის შედეგები მათ ეხმარება პროგრამების დახვეწასა და განვითარებაში.

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მიერ 2019 წლის 11 იანვარს დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულების" თანახმად ეს პროცედურები გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვისაც, რის გამოყენებასაც აპირებენ პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად მოდულური პროგრამების დამატების შემთხვევაში.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):
*შპს მახინჯაურის საზღვაო „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულებით";*
*შპს მახინჯაურის საზღვაო „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით";*
*პროფესიული მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულის შევსებული კითხვარებით;*
*ინტერვიუირებით ხარისხის სამსახურის, დირექციის წარმომადგენლებთან და პროფესიული მასწავლებლებთან;*
*2017 -2018 წლის ანგარიშით;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შეფასება:**

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი მდებარეობს მისამართზე: ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38. შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი, შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან" გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და ვიზუალური დათვალიერების თანახმად, ფლობს ლიცეუმისთვის განკუთვნილ შენობა–ნაგებობას 800 კვ.მ-ზე.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38 | 800 |

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*ვიზუალური დათვალიერებით*

*საჯარო რეესტრის ამონაწერებით; საკადასტრო კოდი -* [redacted]

*შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან გაფორმებული ქირავნობის ხელშკრულებით N03-14/1;*

**შეფასება:**

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
დაწესებულების სასწავლო ფართში (800 კვ.მ.) მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი. დაწესებულების სასწავლო ფართები აღჭურვილია სწავლისა და პრაქტიკისთვის აუცილებელი და საჭირო ინვენტარით, მერხებით, სკამებით, დაფებით, კომპიუტერებით, სხვადასხვა თვალსაჩინოებით. ყველა პრაქტიკული ლაბორატორია (C) აღჭურვილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. მოდულური პროგრამებისთვის გამოყოფილი A და B გარემოსთვის განკუთვნილი აუდიტორიები უზრუნველყოფილია ადგილებითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერით პროფესიული სტუდენტებისთვის, პროექტორით, კომპიუტერით პროგრამის განმახორციელებელი პირისათვის. აუდიტორიები და ლაბორატორიები, რომლებიც ასრულებენ C გარემოების ფუნქციას, აგრეთვე აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური ინვენტარით.

1. ***ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური“.***

დაწესებულებას აქვს მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას. კერძოდ, ზემოთ აღნიშნული ფართის გარდა

**A სასწავლო გარემოსთვის**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმს შორის გაფორმებული იჯარის (N 118/04/2018 წლის) ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილია II კორპუსის II და III სართულის **ხუთი აუდიტორია.** აუდიტორიები აღჭურვილია ერთადგილიანი მერხებითა და სკამებით- 177 ერთეული, 5 პროექტორითა და 5 კომპიუტერით. A გარემოზე განსაზღვრული ფართობი შეადგენს **190 კვ.მ.**

**B სასწავლო გარემოსთვის**

ბნსუ-სა და ლიცეუმს შორის გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისათვის დღის 10.00-18.00 საათამდე გამოყენებული იქნება **სამი აუდიტორია B გარემოსათვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**C სასწავლო გარემოსთვის**

C გარემოს საჭიროება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია 5 მოდულისთვის, რისთვისაც დაწესებულებას აქვს სათანადო აღჭურვილობა და ლაბორატორიები სამედიცინო, სახანძრო უსაფრთხოებისათვის (C გარემო), ლაბორატორია „ვორქშოპი", სამღებრო ლაბორატორია და სიმულაციური ლაბორატორიები გაცნობითი პრაქტიკისათვის. ამას გარდა დაწესებულებას დადებული აქვს ხელშეკრულებები გემებთან, სადაც მოხდება პრაქტიკული უნარების განვითარება და შედეგების დადასტურება, რაზედაც არის შეთანხმება ამ ხელშეკრულებების ფარგლებში.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად ითხოვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - **გემბანის რიგითი მეზღვაური"** - ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს **175 პროფესიული სტუდენტით.**

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დაწესებულების მზაობას ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებისათვის.

2. ***ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური".***

დაწესებულებას აქვს მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას. კერძოდ,

**A სასწავლო გარემოსთვის**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმს შორის გაფორმებული იჯარის (N 118/04/2018 წლის) ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოოფილია II კორპუსის II და III სართულის 5 აუდიტორია. აუდიტორიები აღჭურვილია ერთადგილიანი მერხებითა და სკამებით- 137 ერთეული, 3 პროექტორით, 2 ეკრანითა და 5 ნოუთბუქით. A გარემოზე განსაზღვრული ფართობი შეადგენს 138 კვ.მ.

ბნსუ-სა და ლიცეუმს შორის გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისათვის დღის 10.00-18.00 საათამდე გამოყენებული იქნება **სამი აუდიტორია B გარემოსათვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**C სასწავლო გარემოსთვის**

C გარემოს საჭიროება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია **4** მოდულისთვის, რისთვისაც დაწესებულებას აქვს სათანადო აღჭურვილობა და ლაბორატორიები სამედიცინო, სახანძრო უსაფრთხოებისათვის (C გარემო), ლაბორატორია „ვორქშოპი", სამღებრო ლაბორატორია და სიმულაციური ლაბორატორიები გაცნობითი პრაქტიკისათვის. ამას გარდა დაწესებულებას დადებული აქვს ხელშეკრულებები გემებთან, სადაც მოხდება პრაქტიკული უნარების განვითარება და შედეგების დადასტურება.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად ითხოვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - **სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური"** - ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს **120 პროფესიული სტუდენტით.** სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამებთან ერთად.

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დაწესებულების მზაობას ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებისათვის.

### *3. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობა".*

დაწესებულებას აქვს მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას. კერძოდ,

**A სასწავლო გარემოსთვის**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმს შორის გაფორმებული იჯარის (N 118/04/2018 წლის) ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილია II კორპუსის II და III სართულის 3 აუდიტორია. აუდიტორიები აღჭურვილია ერთადგილიანი მერხებითა და სკამებით- 66 ერთეული, 3 პროექტორით. 2 ეკრანითა და 3 ნოუთბუქით. A გარემოებზე (სამივე აუდიტორიაზე) განსაზღვრული ფართობი შეადგენს 90 კვ.მ.

**B სასწავლო გარემოსთვის** გამოყენებული იქნება **სამი აუდიტორია, რომელიც განთავსებულია ლიცეუმისა და** ბნსუ-ს შენობაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**C სასწავლო გარემოსთვის**

C გარემოს საჭიროება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია **4** მოდულისთვის, რისთვისაც დაწესებულებას აქვს სათანადო ელ.ლაბორატორია (C გარემო) აღჭურვილობით და ლაბორატორიები სამედიცინო, სახანძრო უსაფრთხოებისათვის (C გარემო), ლაბორატორია „ვორქშოპი“ და სამღებრო ლაბორატორია გაცნობითი პრაქტიკისათვის. ამას გარდა დაწესებულებას დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „საზღვაო ტექსერვისთან“, სადაც მოხდება პრაქტიკული უნარების განვითარება და შედეგების დადასტურება.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად ითხოვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტროობა“ - ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს **60 პროფესიული სტუდენტით.** სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამებთან ერთად.
ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დაწესებულების მზაობას ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებისათვის.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):
*ვიზუალური დათვალიერებით;*
*საინვენტარიზაციო უწყისებით;*
*შესყიდვის დოკუმენტაციით;*
*ჩუქების დოკუმენტებით;*
*მიღება- ჩაბარების აქტებით.*

**შეფასება:**
■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები
**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება უწყვეტად, დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, აუდიტორიებში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, სველი წერტილები განლაგებულია შენობის ყველა სართულზე, მოპირკეთებულია, მოწესრიგებულია და დაცულია ჰიგიენა.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):
*ვიზუალური დათვალიერებით*
*ელექტროენერგიის, წყლისა და გაზის გადახდის ქვითრებით.*

**შეფასება:**
■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკის ფუნქციები და ამოცანები, სარგებლობის წესები, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ფუნქციები.

ვიზიტის დროს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო, ზოგადი და არჩევითი პროფესიული მოდულებიდან, ექსპერტების მიერ შერჩევითად, გადამოწმებულ იქნა მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც სრულად იყო წარმოდგენილი.

ბიბლიოთეკაში ზოგიერთი მითითებული რესურსი ელექტრონულ ფორმატშია, ბეჭდური სახელმძღვანელოები გატარებულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარიზაციო წიგნში არსებული წესით. ბიბლიოთეკაში არსებობს ანბანური კატალოგი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში განთავსებულია მაგიდები, კომპიუტერები და კომბაინი.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):
*მიღება-ჩაბარების აქტებით;*
*სახელმძღვანელოების შესყიდვისა და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ფაქტობრივი მდგომარეობით;*
*ბიბლიოთეკის დებულებით;*
*ინტერვიუირებით.*

**შეფასება:**
■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
კოლეჯში (ორივე ფართზე) განთავსებული კომპიუტერები გამოყოფილია ადმინისტრაციისათვის, პროფესიული სტუდენტებისათვის, განთავსებულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკაში, რომლითაც სარგებლობის უფლება აქვთ სტუდენტებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას. შენობებში ხელმისაწვდომია ინტერნეტი. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება დაწესებულების მართვაში, ადმინისტრაციის ოთახები აღჭურვილია კომპიუტერებით, ასლის გადამღები აპარატებით. კოლეჯს აქვს ვებ-გვერდი http://www.liceum-bntu.ge/liceum/

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*გადახდის ქვითრებით;*
*შესყიდვების დოკუმენტაციით;*
*ვიზუალური დათვალიერებით*

**შეფასება:**
■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა
კერძოდ, ლიცეუმში არსებობს საქმისწარმოების წესი, რომლის თანახმად ფუნქციონირებს შემდეგი ჟურნალები:

- ბრძანების წიგნი
- შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი;
- გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი;
- ცნობების გაცემის ჟურნალი;
- მშობელთა და მოსწავლეთა განცხადებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
- გაცდენილი და შენაცვლებული გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი;
- ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის ჟურნალი:

ჟურნალები გაფორმებულია საქმისწარმოების წესის შესაბამისად, ზონარგაყრილია, გვერდები დანომრილი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

*შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის „საქმისწარმოების წესით";*

*რეგისტრაციის ჟურნალებით;*
*დოკუმენტაციის დათვალიერებით.*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები. რისთვისაც არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი განთავსებულია შენობების თითოეულ სართულზე, მოწყობილია სპეციალური სახანძრო სტენდები, ცეცხლმაქრები დამუხტულია და ვადიანია. ყველა სართულზე გამოკრულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმა.

პირველ სართულზე ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი და შეძენილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები, რომელთა ვადების კონტროლი ხდება სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დოკუმენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ექიმი და დაცვა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

*ვიზუალური დათვალიერებით*

*ბრძანებით -ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;*

*ბრძანებით წესრიგის დაცვის უზრუნველყოფი წესების დამტკიცების შესახებ ;*

*ბრძანებით სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;*

*ვიზუალური დათვალიერებით.*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში, მიუხედავად პროგრამების სპეციფიკისა, არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო, მათ შორის: სველი წერტილები სტანდარტის შესაბამისი კარებითა და სველ წერტილებში არსებული დასაყრდნობი სახელურებით, შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, ხოლო ასასვლელ გარე და შიდა კიბეებზე პანდუსები.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*ვიზუალური დათვალიერებით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ვებ-გვერდი http://www.liceum-bntu.ge/liceum/ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია კოლეჯის მისია, ხედვა, დაწესებულების სტრუქტურა, ღირებულებები, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ, მარეგულირებელი დოკუმენტები, პროფესიული პროგრამების კატალოგი, პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო - გალერეა. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*ვებ-გვერდის* http://www.liceum-bntu.ge/liceum/

*დათვალიერებით*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (2019-2025) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. გეგმები დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (11.01.2019) მიერ. სტრატეგიული გეგმაში გაწერილია: სტრატეგიული მიზნები, დაგეგმილი აქტივობა, პასუხისმგებელი პირი, შესრულების ვადები და მოსალოდნელი შედეგები. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ძირითადი მიზნები და ამოცანები. დაწესებულება ადგენს სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებს. გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

2019–2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით;

ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმით (2019);

ინტერვიუირებით;

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 3. ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში სწავლობს 226 მოსწავლე, 226-ვე მოსწავლე სწავლობს პროფესიულ პროგრამებზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ყველა ერთეულის თანამდებობრივი ინსტრუქცია და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. რეესტრის გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ლიცეუმში პროფესიულ საგნობრივ პროგრამებზე ამჟამად დასაქმებულია 16 პროფესიული მასწავლებელი და 15 მასწავლებელი ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო კურსების სწავლებას, 16 - ადმინისტრაციის წარმომადგენელი და ტექნიკური პერსონალი.

ლიცეუმის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებსა და ინსტრუქციებში გაწერილ მოთხოვნებს.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*პროფესიული მასწავლებლების / პროფესიული პროგრამების განმახორციელებლების პირადი საქმეებით.*

*ინტერვიუირებით;*

*თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეესტრის მიხედვით საგნობრივი (მილევადი) პროგრამების პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 16, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 226 -ს. რაც შეეხება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობაა 33, ხოლო სტუდენტთა რაოდენობა - 0.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;*

*ხელშეკრულებებით;*

*საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის ორ მეთოდს განსაზღვრავს: დირექტორის მიერ მათი პირდაპირი დანიშვით ან/და კონკურსის საფუძველზე. იმ პროგრამების განმახორციელებელი პეროსონალი, რომელის დამატების სურვილიც აქვს დაწესებულებას შერჩეულია დირექტორის გადაწყვეტილებით მათი გამოცდილებისა და კომპეტენციის გათვალისიწინებით და მათთან გაფორმებულია შრომით ხელშეკრულება. შესწავლილ შრომით ხელშეკრულებებში განსაზრვრულია ყველა არსებითი პირობა, თუმცა ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ზოგიერთი (მაგ. ანაზღაურებადი შვებულის მიცემის პროცედურები) მოითხოვდა მეტ სიცხადეს, რათა მხარეებს შორის არშესრულების შინაარსის საკუთარი ინტერპრენტაცია მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. ამასთანავე, ექსპერტების მოსაზრებით, რადგან პროგრამები, რომელთა განმახორციელებელ პეროსონალთანაც არის დადებული შრომითი ხელშეკრულებები ჯერ არ ხოციელდება, ხელშეკრულების ამოქმედების ვადა დაკონკრეტდეს და მიებას პროგრამის/მოდულის განხორცილების დაწყებას.

**რეკომენდაციები**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში დაზუსტდეს დასაქმებულისათვის შვებულების მიცემის პროცედურები;*
- *მიზანშწონილია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დადებულ შრომითი ხელშეკრულების ამოქმედება დაკავშირებული იყოს პროგრამის/მოდულის განხორცილების დაწყებასთან.*

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*ხელშეკრულებებით;*

*პირადი საქმეებით;*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური/დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ საგნობრივი პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში 1041 | 87 | 102 | ქართული | ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38 | 0 | 120 |
| 2 | საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - | მესამე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია | 91 | 106 | ქართული | ბათუმი, თამარ მეფის | 0 | 175 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გემბანის რიგითი მეზღვაურის | დონე | საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში 1041 | | | | გამზირი N38 | | |
| 3 | საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა | მესამე დონე | საბაზოპროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713 | 52 | 67 | ქართული | ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38 | 0 | 60 |
| | სულ | | | | | | | | 355 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - 4 ფურცლად;
დანართით 2 - სასწავლო ცხრილები - 13 ფურცლად;

<u>სულ - 17 ფურცელი</u>

20.05.2019
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: